ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№1, 28 იანვარი, ორშაბათი, 2019 წელი

რეცენზია

ოთარ ჩხეიძის კვერნაქიანა

ოთარ ჩხეიძის რომანი „კვერნაქი" 1964 წელს, ყელქცეულაში დაიწერა და ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნდა. არსებობს „ჩანაწერები, ანუ ეპიზოდები კვერნაქის ცხოვრებიდან", რომელიც ავტორმა, 1965 წლის 16 დეკემბერს, მწერალთა სახლის პროზაიკოსთა სექციაში რომანის განხილვის შემდეგ გააკეთა. „ეს დღიური იმდროინდელი განხილვის ერთგვარი რეპორტაჟია, რომელიც შეიძლება, ნოველადაც ჩავთვალოთ", – აცხადებს როსტომ ჩხეიძე. საერთოდ, საბჭოთა კრიტიკოსები, ოთარ ჩხეიძეს ხელისუფლების უშუალო დავალებითა და ჩარევით, არათუ აკრიტიკებდნენ, არამედ მისი რომანების გამოცემას ხელსაც უშლიდნენ, მაგრამ მწერალი მაინც ახერხებდა გამჭვირვალე ქვეტექსტებით მკითხველამდე მიეტანა მთავარი სათქმელი.

„1958 წლიდან მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება და ოთარ ჩხეიძის „კვერნაქშიც" 50-60-იანი წლების საბჭოური რეალობა და ტრაგედიაა აღწერილი. ზოგადად, ოთარ ჩხეიძე მაშინდელ ფანტასმაგორიულ თამაშებში ჩართული არ ყოფილა და ამიტომ, ის არის მწერალი, რომელსაც შეიძლება, ენდო," – აღნიშნავს ფილოლოგიის დოქტორი ნონა კუპრეიშვილი. მისივე თქმით, ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები მკითხველს „ძნელად კითხვის ბედნიერებას" ანიჭებს. სწორედ ეს არის დიდი მწერლობა, რომელსაც მომავალში კიდევ უფრო დიდი ფასი დაედება, რადგან ოთარ ჩხეიძის შემოქმედება მხოლოდ კი არ გვაჩვენებს, როგორები ვიყავით, არამედ, გვაფრთხილებს, რომ ადამიანს უფლება არ აქვს, ცხოვრება ფუჭად განვლოს," – ასე ფიქრობს კრიტიკოსი.

„კვერნაქი" ოთარ ჩხეიძის 24 რომანიანი ციკლის ერთ-ერთი წიგნია და გამოდის იმ პროექტით, რომელსაც ალ. ორბლიანის საზოგადოება ახორციელებს სახელწოდებით „მატიანე ქართლისაი". გამოცემა ამერიკული ჯიბის წიგნების ფორმატით ქვეყნდება, რაც დამახასიათებლია უილიამ ფოლკნერის იოკნაპატოფას საგის გამოცემათა ერთი წყებისთვის.

ოთარ ჩხეიძის რომანები არ ქვეყნდება ისტორიული ქრონოლოგიის დაცვით, ცალკეულ წიგნთა გამოსვლას სხვადასხვა მოტივი განაპირობებს, თუმცა გამომცემელნი ვარაუდობენ, რომ რომანების სრულად გამოსვლის შემდეგ, ისინი ისტორიული ქრონოლოგიით დალაგდებიან. რომანთა ეს ციკლი მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს XX საუკუნის 50-იანი წლებიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. ეს გახლავთ საქართველოს ცხოვრების დრამატული მიმდინარეობა ყოველგვარი შემკობა-შელამაზების გარეშე, ისე, როგორც ნამდვილად იყო. ეს რომანული მატიანე მეტად საინტერესო იქნება როგორც ისტორიკოსებისა და ლიტერატორების, ასევე სოციალურ-პოლიტიკური დარგის მკვლვართათვის, ცალკეული ისტორიული მოვლენისა თუ ეპიზოდის წარმოჩენა – გაანალიზებისათვის. ამ ქრონოლოგიის გათვალისწინებით, „კვერნაქი" ადგილს დაიმკვიდრებს რომან „აღმართ-დაღმართსა" და „ლანდებს" შორის.

რომანის სახელწოდება „კვერნაქი" უძველესი დროიდან მომდინარეობს და გორის ერთ-ერთი უბნის ტოპონიმს უკავშირდება. ეს ადგილი ბორცვიან - დაბალმთიანი სერია. კვერნაქიანა – კვერნის ქვეყანაა, რადგან აქ თურმე უამრავი კვერნა ბინადრობდა.

რომანს ეპიგრაფად ერთვის დავით აღმაშენებლის სტრიქონი „გალობანი სინანულიდან": „ვნებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი, რამეთუ რომლისგანაც ვინ ძლეულნ არიან, მისდაცა დამონებულ არნ". მთავარი სიტყვები და რომანის მორალური კოდექსი ამ ციტატაში ხმიანდება – სიბილწესთან დაწყვილბული სული ძლეულ და დამონებულ იქნება უკუნისამდე. დავით აღმაშენებლის ხსენება იმადაც უპრიანია, რომ ქალაქად გორის მოხსენიებას, მემატიანნი დავით მეფის სახელს უკავშირებენ. (ამ ფაქტის გამოძახილია გორის სასწავლო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად დამკვიდრებული დავით აღმაშენებლის ისტორიულ – ეთნოგრაფიული ყოველწლიური კონფერნციის გამართვა). ისიც ცნობილია, რომ გორის კარალეთში, იგივე ნაჭარმაგევში, ქართველ მეფეებს სააგარაკო სახლები ჰქონდათ. წყაროები გვამცნობენ, რომ დავით მეფე-აღმაშენებელმა გორში ისტუმრა შვიდი მეფე. გადმოცემით თამარ ნეტარიც აქ გახდა ავად და საკაცეზე დასვენებული თბილისს ჩაიყვანეს (მოსე ჯანაშვილი).

ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ ,,კვერნაქ-ები არის მთა კუხეთისა, ანუ აწ მთა ზედაძნის მიბმულ არს მთასა სარკინეთსა, რომელსაც კვერნაქადაც უწოდებენ, თვინიერ განკვეთისა არაგვისაგან, ამისათვის უწოდებენ გონბრის მთასაცა ქისიყამდე კვერნაქად". („საქართველოს გეოგრაფია"; 1904 წ; 130 გვ.)

ოთარ ჩხეიძე ერთგან წერს: „მწერალი მხატვარია პირვლყოვლისა, ოღონდ მემატიანეცაა ეპოქისა, იმავე დროს". ამიტომაც მწერალი თავს ასე ივალდებულებს: **„შეძვერი ცხოვრებაში, რაც შეიძლება ღრმადა, პატარა ჭუჭრუტანა გამოიტანე. და იქედან უცქირე ქვყანასა"**. მის ასეთ აქცენტირებულ ნათქვამს გულით დაეჯერება, რადგან აღნიშნული პერიოდიდან, ლიტერატურის ისტორიას ბევრნი არ შემორჩნენ გულით მხედნი და მართალ – მჭვრეტნი. მწერალი დინჯად გვიყვება უკანასკნელი საუკუნის გრძელ ამბებს, ჯერ თვითონ უგდებს ყურს საკუთარ ნათქვამს, მერე მკითხველს ასმენინებს. თხრობის დინამიკითა და სტრიქონთა მხოლოდ მისთვის დამახასითებელი მუსიკით, მკითხველსაც აიყოლიებს; კითხვისას ერთი თავისებურებაც იკვეთება, მისი პროზაული ტექსტის უჯრედებს ვერ გამოტოვებ, რადგან თუ რომელიმე გვერდს გადაახტი, აუცილებლად დაკარგავ რაღაც ღრმასა და მნიშვნელოვანს, ამ გამოტოვებული ფრაზისა თუ აზრის აუცილებლობას კი მაშინ მიხვდები, როცა მწერლის ნაფიქრი სრულად არ გაგეხსნება. ასე რომ, რომანი „კვერნაქი" გონისა და თვალის „წათამამებისთვის არის" დაწერილი და არა გადათვალიერებისთვის.

რომანის მთავარ სათქმელს ეპიგრაფის გარდა, სხვა სტრიქონებშიც ამოვიკითხავთ: „უშბიდან ხომ მწვერვალნიცა პატარავდებიან, კვერნაქიდან – ადამიანებიცაო". მწერალი სინანულით ფიქრობს თავის გმირზე, რომელმაც ვერ შეძლო ყოფილიყო ამაღლებული და სულის მწვერვალების დამპყრობი. ამ ცხოვრების კრებულში, ისე როგორც საჭადრაკო ამოცანათა წიგნში, ყველას თავისი ამოცანა აქვს, ყველამ თავისი პარტია უნდა წაიკითხოს და უშეცდომო სვლა უნდა გააკეთოს, რომანის მთავარმა გმირმა ეს ვერ მოახერხა.

რომანი „კვერნაქი" მოგვითხრობს პერსონაჟ სანდრო ბონიძეზე, რომელმაც რომ ცხოვრების კრებულში თავისი არსებობის სწორი აზრი ვერ ამოიკითხა, ანუ ჭადრაკის პარტიებივით ცხოვრების ნიუანსები შეუცდომლად ვერ გათვალა, ისე კი, უყვარდა და კარგადაც თამაშობდა ჭადრაკს ეს მით გულდასაწყვეტია, რომ მწერალმა საგანგებოდ ყველა საადამიანო პირობა შეუქმნა გმირს, რომ ცხოვრებასთან ღირსეული მეტოქეობა მოეხერხებინა. მთავარი გმირი ბონიძეა – მას მოლაპარაკე ქართული გვარი აქვს. გვარის მინიჭებითაც მწერალი ზუსტად ხსნის, იგი მხოლოდ კაცია თუ ადამიანი! ისტორიულად, 1919 წელს შექმნილი ქართული ბონიც დროებითი გადახდის საშუალება იყო. სანდრო ბონიძე, თითქოს გვარითაც დროებით თავშესაფარშია შეხიზნული. 36 წლის მიჯნაზე მყოფს, ეს ცხოვრება ასევე დროებითი მეუღლეების შერთვაზე ზრუნვა და ფაციცი ჰგონია. სხვანი, ჩვეულებრივი მოკვდავნი, თავის ტოლად არ მიაჩნია და ბაირონისა და დანტეს ასაკს, მათ ოცდათექვსმეტს ეტოქება, მათ მხარდამხარ მსჯელობს და ფილოსოფოსობს. იმასაც კი დაიბეჯითებს, შოთამ 36 წლის ასაკში დაწერა „ვეფხისტყაოსანიო". თამადის შეგონებისა არ იყოს, თვითონაც ამოისურვილებს, 36 წელი მიჯნაა და ამ ასაკში თუ არა, შემდეგ სერიოზულს ვერაფრს მიაღწევს ადამიანიო. სხვათა შორის, მთავარი პერსონაჟის გვარი თავდაპირველად, ცხოიძე იყო, მაგრამ ზოგიერთმა კრიტიკოსმა გვარი (ცხოიძე-ჩხეიძე), ავტორის ალტერ-ეგოდ აღიქვა. ამიტომაც, 1987 წლის გამოცემაში, ოთარ ჩხეიძემ თავისი გმირი გადააგვარა...

სანდრო ბონიძეს სახლი მაღლა კვერნაქზე უდგას. ჯერ ყოჩაღად არის და თავისუფლად ადის ამ სიმაღლეზე, ჯერ ვაჟკაცურად უცემს გული, სულაც

კვერნაქულადა! აქედან უყვარს „ჩაპატარავებული ქალაქის“ ცქერა, თვალთვალი; იქვეა მისი სამზერი – პატარა ფანჯარაც, რომელიც უცნაურ მიკროსკოპად თუ ტელესკოპად ექცა; აქედან ჭვრეტდა ყველაფერს. საბას მიხედით: „ჭვრეტა არს რა ხანგრძლით დაკვირვებით უმზერდეს რასმე; ჭვირობა არს რა სარკმლით გარ გამოიხედვიდეს“. აქედან არც წვიების ზომა გამორჩებოდა და არც კოჭის დახრილობა. იცნობდა უკანასკნელ მოდას, არც ვარცხნილობის მოდის ცვალებადობა გამოეპარებოდა. ასევე უყვარდა ჭადრაკი, ჰყავდა ჭადრაკის მეგობარი და ამ მეგობრის ცოლი, რომელიც მისი ორი ქორწინების მეჯვარეც იყო; სანამ გაიგებდით რაზე კამათობდნენ მეგობრები, მყარი მოგეჩვნებოდათ მათი მეგობრობა. საკამათო კი ნამდვილად ჰქონდათ: რისი დარგი იყო ჭადრაკი – ხელოვნების, მეცნიერებისა თუ სპორტის. ალბათ, ეს კამათი და მეგობრობაც გაგრძლდებოდა მანამ, სანამ მკვეთრად არ გამიჯნავდნენ და ადგილს არ მიუჩენდნენ ჭადრაკის მღერას.

რომანის დასაწყისში სანდრო ბონიძე 36 წლისაა. თამადისაგან შემოთავაზებული 36 წლის, უფრო კი ასაკის, სადღეგრძელო მან თავისებურად განავრცო და „განუსაზღვრელი სიცოცხლის“ სადღეგრძელო შემოგვთავაზა. მისი მსჯელობით, შოთას „ვეფხისტყაოსანი“კი არა, „შუშანიკის წამებაც“ 36 წლის მარჯვენის დაწერილია. მართალია, სიბერეშიც ბევრი რამ შეუქმნიათ, მაგრამ რაც მერე შექმნილა, ეს ნაგვიანევი ოცდათექვსმეტისაოო.

ყველას თავისი „მოდარიელე“ ანუ თავისი სულის ტოლი ჰყავს, ყველა თავის ვიღაცას ელოდებაო და სანდროც ელოდა; მალე უნდა დასმოდა წერტილი მის სიმარტოვეს. ცხოვრებაში მფარველი არ ჰყოლია. არ უგემნია მფარველის მეშვეობით გავლილი გზის სიადვილე. შეუძლია ამითი იტრაბახოს, თავი „მოიამაყოს“ კიდეც. როცა სასახლკარე მამული ითხოვა, ქალაქის საბჭო დაბლა, ძველ სასაფლაოზე სჭრიდა ადგილებს. ახალი სასაფლაო ზევით კვერნაქზე აეტანათ. ასე გაჩნდა რომანში ტოპონიმიკა მაღლა-დაბლა კვერნაქიც. პროფესიით მშენებლი სანდრო, საამშენებლო ტრესტში მუშაობდა და სახლი თავისთვისაც აიშენა. ერთი რამ მაინც ვერ გაითვალისწინა, უღვთო დროში დაბადებული გმირი ვერ მიხვდა მადლისა და რწმენის უპირატესობას. ერთ-ერთი საფლავის მარმარილოს ჯვარი სანდროს სახლის საძირკველში ჩაეტანა. ჯვარს არც პატრონი გამოუჩნდა და არც აღმრიცხველი, რომ დროულად გაეტანათ. საძირკველში ბეტონის ჩასხმისას ძეგლი „მოიმზღვლა“, თავდაყირა დაქანდა და ძვრაც ვერ უყვეს, ვერ ამოიღეს, ასე აშენდა ახალი სახლი ძველი საფლავის მიცვალებულთა ჩონჩხებზე და ჯვარიც ასე ჩაეკირა და ჩაეშენა მის საძირკველს. ნაცვლად იმისა, ეკურთხებინათ სახლი და ჯვარი გადაესახათ, რომ მობინადრეს ჯვრის ძალა, უფლის მადლი და მფარველობა მიეღო, ასეთი უცნაური ბედი დაჰყვა. ადამიანს ხომ მარადჟამს ესაჭიროება უფლის მფარველობა. სახლის კურთხევით ბოროტი ძალები იდევნებიან და ისადგურებენ ფუძის ანგელოზები. თუ სახლში სიმშვიდე და სიწყნარეა, მაშინ ეს ანგელოზები იქვე რჩებიან. სახლის კურთხევისას, ხომ კურთხევანში არსებული სპეციალური ლოცვები იკითხება, მაგრამ სანდრო ურწმუნო ადამიანია, წეს-ჩვეულებანი, ადათი, კულტურა, რაც ადამიანს ამ წუთისოფელში აწმყოს შეამეცნებინებს და მომავლის სიკეთეს განუსაზღვრავს, მას აინუნშიაც არ მოსდის; არ იცის, რომ წინაპართა საძვალე წმიდათაწმიდა ადგილია, რომ მას დაცვა სჭირდება. მისი სული მხოლოდ ყოფითი ცხოვრების დეტალებით არის შეკოწიწებული, ამიტომაცაა, რომ ახალი ოჯახის შექმნის იდეასაც „მონდომებული დაუდევრობით“ ეკიდება. სამი მეუღლიდან არცერთის გვარი არ არის მკითხველისათვის ცნობილი, უგვარო, უმზითვო და უქორწილო პატარძლები მოიყვანა შინ. ამიტომაც, ასევე ადვილად და უპასუხისმგებლოდ ეყრება და იშორებს მათ. მის პატარძლებსაც არა ჰყავთ ცხოვრების სწორად გამკითხავ-შემცნობი და გულშემატკივარი პატრონები. სანდროს პირველი მეუღლე, მაგდა, მიხეილ ჯავახივილის პერსონაჟს, მარგოს გვაგონებს. მაგდაც სპეტაკია, აზრიანიც, ლამაზიც და ოჯახის მომავალიც მარგოსავით ეიმედება, ისიც, მარგოსავით გარედან უტრიალებს ქმრის სამუშაო ოთახის კარს, თავიდან ჰგონია, რომ იქ „იდგა ატმოსფერო მაღალი გონებრივი შრომისა“, კარს ფრთხილად მიადგებოდა და ასევე უჩუმრად გაეცლებოდა; მწერალი გვიმხელს, რომ ამ ოთახს მიდარაჯებულ „სოსანისფერ, წითელ ფოჩებიანი ოთახის ქოშების პატრონს“ ლაპარაკი სწყუროდა, მოფერება და ალერსი ენატრებოდა. მისი მეუღლე კი ამ დროს სამუშაო მაგიდას გადასწოლოდა და ემალებოდა თანამეცხედრეს. თუ თეიმურაზ ხევისთავი საჭირბოროტო სტატიებს წერდა და საქვეყნო საქმეებით მართლა დაკავებული იყო, სანდრო ბონიძე ბედოვლათობდა და მნიშვნელოვანს არაფერს თხზავდა. მისი შემოქმედებითობა და მოგონილი, ვითომ დაკავებულობის სინდრომი მკითხველის თვალში ღირსებასა და პატივს ჰყრის მის პიროვნებას. სანდროს ჟურნალისტური მოღვაწეობაც მისი არშემდგარი ალტერ-ეგოს გამოძახილია. საბჭოთა ადამიანი კოლექტიური ქონების მფლობელი იყო და ამაზე წერდა კიდეც. თუმცა, სანდრო ამ საქმიანობაშიც არ იყო თავისუფალი, აქაც რედაქტორზე იყო დამოკიდებული, რომანში მრავლად არის მისი არშემდგარი ჟურნალისტური საქმიანობის ეპიზოდები. იგი არც ლალისთან, მეორე მუღლესთან, თანაცხოვრებისას იცვლის ნირს, მაგრამ ლალი შემტევი, უშიშარი, მომთმენი და მომთხოვნიც აღმოჩნდა. თუ მაგდა მუშაობაში ხელს არ უშლიდა, სულაც პირიქით, ყავასაც უდუღებდა და ფეხაკრეფით შეუტანდა კიდეც, ლალი ასე არ ანებივრებს, ხმამაღლა საყვედურობს, ნეტავ, რას წერ ამდენს და საერთოდაც, ვინა ბრძანდებიო!

ქალი პერსონაჟები სანდროს ხასიათს ზუსტად ძერწავენ, თუმცა არც ამ პერსონაჟების ღირსებებზე სანდროსეული აქცენტები განაწყობს მკითხველს მისადმი საკეთილოდ. სანდროს დიდად არ ანაღვლებს, რომ არცერთი მეუღლე მასთან ბედნიერი არ იყო. არც თვითონ გრძნობდა მათთან ოჯახურ სიმშვიდეს; მისი სახლის საძირკველში მარმარილოს ჯვარია ჩატანებული. ჯვრის ასე შეურაცხყოფამ მისი ოჯახის მომავალი განსაზღვრა. ნაცვლად იმისა, რომ სახლთანგელოზობა მოეწყო, ფუძე-კერა დაელოცა და ლოცვაში დაუნჯებული საკრალური სიტყვების მადლი არ გამოლეოდა, მისი სახლის ბნელ კუნჭულებს ჩონჩხები და ლანდები ეპატრონებიან. სხვენშიც ჩოჩხები ისადგურებენ, ისინი მთელ შენობას მოედებიან, სასთუმალთანაც ჩამოსხდებიან, გალაღდებიან და სხვას თუ კიდევ რას ჩაიდენენ, მწერალი ამაზე კრინტს არ ძრავს, სხვა რამ სასაფრთხოს რომანულად არ დაუწერს. დაინდობს თავის გმირსაც და მკითხველსაც, თუმცა დასძენს: **„მიცვლებულთა სითბოს ინახავენ ქვები საფლავისა, ის სითბო მოდის“... და თუ ეს სითბო ცოცხალთა გულის სიცივეს შეერთვის და არა მათ სითბოს, შურისმაძიებლობის მაგვარი მისტერია ყალიბდება.** საკვირველია, იმ ღვთისმგმობელ დროს, თვით მწერალის გადარჩენილი სულის პოზიცია, რომელიც თავის პერსონაჟსაც ათას მინიშნებასა და რჩევას სთავაზობს გადასარჩენად, რადგან იცის, რომ დაწყევლილ ფუძეზე გმირი ვერ იხარებს და ოჯახი ვერ იხეირებს.

რომანში დგას სულიერი და ზნეობრივი „სამოსის ტარების“ პრობლემა, რადგან ეს უკანასკნელი ყველა დროში ძნელია, ისევე როგორც, კაიკაცობის ქუდის მორგებაა ძნელი. კარგად ახსოვდა სანდროს ბავშვობის წიგნებიდან, „მამის ქუდი ვერ დაიხურა ვანომაო, ქუდში ჩაიკარგაო“. ოღონდაც მამის ქუდში ნუ ჩაიკარგებოდა და თვითონაც ეძებდა ცხოვრების აზრს, არჩევდა ქალებს, უნდოდა ოჯახს მოკიდებოდა და ქმრობის ბორკილი დაედო ქედზე, მაგრამ მოგეხსენებათ, „ეშმაკი წყლისფერიაო“ და ცხოვრების უახლოესი ამოცანის ამოხსნის წყურვილით, სანდრო ბონიძემ ჩქარ-ჩქარა წაიკითხა თავისი ბედის წიგნი. ამ სიჩქარეში კი ბევრი რამ გამორჩა. მომჭირნე და ძუნწ ცხოვრებას ჩვეულმა, გაუთვლელი ანგარიშით იწყო მეუღლეობრივი კავშირები. თავიდან ეგონა, სიკეთე დაიძრაო, მაგრამ მატერიალური სამყაროს ანაბარა დარჩენილს, თავ-გზა აებნა, ქონებრივი კატეგორიებით მოაზროვნემ, ვერავისთან ჰპოვა სულიერი ნათესაობა, ვერ შეიცნო სულთა კავშირი, შოთას პოემისა არ იყოს, ვერ „შეერთო სულთა სირას“. სანდრო ბონიძე თავისუფალად ირჩევდა საცოლეებს, იკლავდა ჟინს და შემდეგ ეყრებოდა, აბუჩად იგდებდა მათ ადამიანურ ღირსებებს, მოიბეზრებდა და ახლა მომდევნოს იტყუებდა ცოლ-ქმრობის უღელში. თუმცა კი, ბოლოს, მიეზღო ამ სიავეების გამო.

მწერალი გმირს სტრიქონ-სტრიქონ გვიხასიათებს: შვილი არ ეძლეოდათ, მაგრამ არ ნაღვლობდა, „დიდად ვერაფერი გაეგებოდა პატარებისაო“, ან „რომელი ლუარსაბ თათქარიძე ის იყო, მკითხავები შეეჯერებინოს, თელეთი მოევლოს, კენჭი გადაეყლაპოს და მაინც არ მისცემოდეს შვილი“. კენჭის გადაყლაპვის ტრადიციას, აუცილებლად მამადავითობის დღესასწაულთან მივყავართ, რომელიც ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს აღინიშნება. თეთრსამოსიან ქალთა ფეხშიშველი მარაქა შეუყვებოდა მამადავითის აღმართს, სამჯერ შემოუვლიდნენ გარს ეკლესიას, რიტუალის ნაწილი საძირკველზე კენჭის მიწებება იყო, თუ გაჩერდებოდა და მიეკრობოდა, ეს ბედნიერების ნიშანი იყო. მწერალი რომანის ფინალისთვის გვამზადებს; არის გარკვეული პარალელი შვილის შეძენის გამო ლურასაბის მოგზაურობასთან; როცა სანდრო და მისი პირველი მეუღლე, მაგდა, თბილისში ექიმებს მოივლიან შვილიერების სურვილით. სამი მეუღლიდან პირველს არ აცალა შვილოსნობა დამდგარიყო, ერთ წელიწადში გაეყარა, მეორეს – ლამის განზრახ მოაშლევინა მუცელი, თუმცა მაინც დაინდო მწერალმა ბონიძე, თათქარიძისაგან განსხვავებით, უშვილძიროდ არ გადააშენა. მაგრამ შვილის ნახვის ღირსი არ გახადა. სამუდამოდ გამოაცილა საკუთარი სახლიდან სულიერად გადაგვარებული და თავისი მესამე მეუღლისგან გაჩენილი პირველი შვილის უარმყოფელი.

საკუთარი ვაჟიშვილის დედას სამშობიაროს ვესტიბიულში მოუწერა ხელი. ხელი ვაჟიანობისას მოვაწეროთო – ცერემონიალი, რომელსაც მაგდას შეჰპირდა, გურანდასთან შედგა. თუმცა ესეც ახალი პირობების გაუთვალისწინებლად და დაუფიქრებლად გამოუვიდა. ამ აქტსაც ნანობს ბონიძე, მაგრამ „ნეტავ რომელი კაცი შეირთავს ცოლს, თუ არ მოტყუვდაო“, – ზომიერ ირონიას მიადვნებს მწერალი „კვერნაქის“ გმირს.

ამ რომანში მწერალი ხელების ხატვის დიდოსტატიცაა. რომანში **„ხელები ლაპარაკობენ და ხშირად იმას ლაპარაკობენ, რომ ხელებში თავს იყრის ადამიანის სულიერი ავლადიდება. ხასიათის სილამაზე თუ სიმახინჯე სულისა, ხელებში ცნაურდებაო“**, ამიტომაც, უდიდესი მხატვრები და მოქანდაკენი დიდი გულმოდგინებით ეკიდებიან ხელების გამოძერწვას.

როდენი მოწაფედაც არ აიყვანდა იმას, ვისაც ხელის ჩამოქნა არ ეხერხებოდა. იაკობ ნიკოლაძე როდენის მოწაფე იყო, სახელოსნოში ინახება მის მიერ გამოძერწილი საკუთარი ხელი... ხელები უყვარდა, ხელებს ისეთი გულმოდგინებით ძერწავდა, როგორც პორტრეტებს. აკადემიაში იგი სუდენტებს ხშირად თურმე ერთმანეთის ხელებს აძერწინებდა.

ფრესკის ოსტატებიც ხელებით იწყებდნენ მოხატვას, თვით წმინდანებიც ხელებით გამორჩეულან. „ხელებიც ვითარცა წმინდანნიო, – თითქოს სანთლებად ანთია, თაფლის სანთლებადა. ლამაზი ხელი, ლამაზი სულია, ლამაზი ხელი, ლამაზი ქალიაო. ასე ამბობენ და ასე მეტყველებენ, ისე ირხევიან, ის მიმზიდველად, ისე მომხიბლავადა“.

გაშლილი მარჯვენა ხელის მტევანი მზის სიმბოლოა. საინტერესოა ხელის მტევნის სიმბოლიკა გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველში“: „მამა მდუმარებით უგდებდა ყურს. მისი წაგრძელებული, თითქოს გადატეხილი ხელი ბარბაცებდა, კვარის სუსტ ციმციმს აყოლილი... მაგრამ დაჭიმული მარჯვენით კვარი ეკავა და რაღაცას ფიქრობდა (დოჩანაშვილი, 2011; 84). სახლს მოშორებულ დომენიკოსაც მამის გრძელი ხელის მტევანი ახსენდება და მხარზე მის მძიმე მარჯვენასაც გრძნობს თითქოს. ამგვარად ჩნდება დომენიკოს ფიქრებში მამა. ქართულ მართლმადიდებლურ ხატწერაშიც, სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებული აქცენტი ხელის მტევანზე კეთდება, იგი არაპროპორციულად წაგრძელებულია; წმინდანების შემთხვევაში, ის ვედრების გამომხატველია; მამა ღმერთისა და მაცხოვრის შემთხვევაში – ეს მაკურთხებელი ხელია; ხელი უფლის ხმის, უფლის წყალობის შესატყვისია. ხელის მტევნის სიმბოლოსთან არის დაკავშირებული დუმილის სიმბოლიკაც. ეს ორი სიმბოლო ურთიერთადკავშირებულია რომანში, მამა უმეტესად მდუმარე და უსიტყვოა; „დომენიკოსთვის იყო სიჩუმე, მხოლოდ სიჩუმე და ჯვრის ალის სუსტი რწევა, მერე კი მამა“.

ოთარ ჩხეიძის ესთეტიკა „კვერნაქში“ მთავარ გმირს, სანდრო ბონიძეს მიემართება, რომელიც ხელის მტევნების შემგრძნობია. ლალის, თავის მეორე მეუღლეს, ნესტიანი ხელისგულებით აღიქვამს. მერე მისი ხელი ხელთ ეპყრა. ელამუნებოდა და ხელისგულებით გულვობდა მისი ხელების თანხმობას.

ულამაზესი ხელის მტევანი და თითები აქვს დიანას, და ალბათ, არ არის მოულოდნელი, რომ ხელის სილამაზის შემცნობი სანდრო დიანასთან გრძნობს სულიერ ერთობას, ეს ქალი აღმოჩნდება მისი სულის სწორი. თუმცა, მასთანაც არ უწერია ბედნიერება, რადგან არც დიანასთვის არის ოჯახი ციხე-სიმაგრე და წმინდა ადგილი. იგი სხვისი ხასაა და სანდროს სახლში ისე შემოდის, არ იცის მისი ოჯახური სტატუსი. თუმცა, დიანას ათქმევინებს მწერალი მთავარ სიმართლეს: „სანდრო მაცდური კი არა, მსხვერპლიაო“. მართლაც, თავისი საუკუნის ათეისტური იდეოლოგიის მსხვერლია სანდრო.

ოთარ ჩხეიძის პროზის მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას მის ლექსიკაზე ამახვილებენ. მწერალმა უამრავი მივიწყებული სიტყვა კვლავ ახალი მადლით შემოიყვანა სიტყვათა ქართულ ოჯახში და მათ წინადადებებში ზუსტი ადგილი მიუჩინა. გთავაზობთ მისი „ფრთიანი კალმის“ მარგალიტებს, რომ უფრო გულამდე ვიგრძნოთ ეს სიტყვები და ზოგჯერ წინადადებანიც კი:

„აზამბარი მიირთვითო“, – წერს ერთგან, – რაც შემოსტუმრებულის, დაგვიანებული სტუმრის სუფრის სხვა წევრებთან გასათანასწორებლად მირთმეულ ღვინის სასმისს ნიშნავს;

„ქოცოებიც იქნებოდა აუზთან“ – აღსანიშნავია, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვევრს ერთი საერთო სახელი არ ექნებოდა, არამედ ყველა ჭურჭელს თავისი შესაბამისი სახელები ერქმეოდა. ამ მხრივ, ძალზე საინტერესო ცნობებს ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონაში": "ხოლო ესე ჭური, საცავი ტყბილისა, განიყოფებიან, რამეთუ დიდთა ეწოდებიან ქვევრი და მისსა შედეგსა – ყვიბარი და მისსა უმცროსსა – ქოცო, არამედ ყოველივე ჭური არს";

„მოიგულისჭირა“ – გულიდან დარდი ამოიღო;

„აფუტკნა ძველი გაზეთები“ – ანუ არივ-დარია, ბევრი ეძება;

„ქვები კორიკობდა“ – ფეხქვეშ ქვები უცურდებოდა.

„სარისტა“ – თადარიგი, წესრიგი, საზრიანობა;

„სართიც დაადო ვალადა“ – სართი, ვაჭრობაში (რაიმეს რომ ცვლიან) დანამატი, ზედმეტი;

„სურნელი დასდევდა დაკბენდილი“ – გამორჩეული სურნელი ჰქონდა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებლი;

„დაჰყვებოდა ნალოსავითა“ – როგორც მძიმე ტვირთი, თრევით მისატანი, როგორც ხარებისთვის, ასევე კაცთაგან. ზოგჯერ დაღმართში მოუბამდნენ დატვირთულ ურემს, რომ არ დაქანებულიყო; ფიჩხის ნალო;

„კბილი მოეჭრება ქარსა“ – ჩადგება, ჩაწყნარდება ქარი;

„მოიხდის სიცხადის ვალსა“ – ნათელს მოჰფენს, ცხადს გახდის;

„იელად მოედო ნათქვამი“ – მრავალმნიშვნელოვანი ამბავი გაისმა, გაჟღერდა;

„ღურღუმებს ეძებდა“ – ღრმა ადგილი, თევზის თავმოყრისა, ჯილე;

„არ მოიცადა ამ ოლოხმოლოხში“ – არეულობაში არ გაჩერდა.

რომანი ხუთი ჩამოქნილი სტრიქონით მთავრდება: „ეგება პირველი პოეტი თამადა იყოო“ – ჩვენ დავსძენთ, იქნებ სულაც პირიქით, პირველი თამადა თუ იყო პოეტი! თანამედროვენი კი მადლობელნი ვრჩებით ოთარ ჩხეიძისა, რომლის 1964 წელს დაწერილი რომანი „კვერნაქი,“ დღესაც გვაკითხებს თავს და კვლავაც აქტუალურია. მთავარი გმირი რომანისა, სანდრო ბონიძე კი, მაცდური კი არა, უფრო მსხვერპლია ურწმუნო იდეოლოგიისა, რადგან მან ვერ შეძლო საკუთარი ზნეობრივი მრწამსის შენაჩუნება, ვერც გადარჩენილი ზნეობრიობის ნაფლეთები მოირგო რიგიანდ და ვერც მისი დაცვა მოახერხა, ცხოვრება თაბაუთშიც არ ჩააგდო – ანუ საზრიანობა და ანგარიშიანობა ვერ გამოიჩინა. დიახ, ავ-კარგი ვერ გაარჩია და ამ ესთეტიკითაც ვერ დაგვამახსოვრა თავი. ნუ დაგვავიწყდება სახარების სიტყვები: „რა სარგებელ არს კაცის, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?“ (მათე 16, 26);

„კვერნაქის“ მრავალ ღირსებათაგან გამოსარჩევია რომანის კომპოზიციური მთლიანობა: პირველი თავი, ისევე როგორც ბოლო, XXV-ე, სუფრასთან თამადის სადღეგრძელოთი იწყება და მთავრდება. „36 წლის ასაკისა და კვერნაქისა“ არ იყოს, დამაფიქრებელია თამადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოებიც და მისი შემართებაც, როგორი აკადემიზმითა და არისტოკრატიული ქვეშევრდომობით იმორჩილებს იგი სუფრასთან მსხდომ სხვადასხვა ზნე-ხასიათის თანამეინახეებს.

ოთარ ჩხეიძეც ამ რომანის თამადაა, ისიც სხვადასხვა გმირთა ხასიათის არქიტექტორია. შთაგონებული ფიქრობს და მათთვის ღაღადებს ძველისძველი პოეტიკით, ზუსტად იმდაგვარად და მაშინდელივით, როცა, ჯერ კიდევ, წერა რომ არ იცოდნენ და სახელდახელოდ, სუფრასთან თხზავდნენ სათქმელს კეთილ გამგონთათვის...

თამარელა წოწორია – ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„ლიტერატურული მესხეთი” 20 წლისაა

ორი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, რაც საქართველოს ძირძველ მიწაზე, მესხეთ-ჯავახეთში, კიდევ ერთი ბეჭვდითი ორგანო „ლიტერატურული მესხეთი“ დაარსდა.

„მესხეთი არის აკვანი საქართველოს დიდებისა“ – უთქვამს მოსე ჯანაშვილს და, რაოდენ საამაყოა, რომ ამ აკვანს ღირსეული მარჯვენით არწევს ისტორია და ლიტერატურა ამ კუთხისა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისა. ოცი წელი ცოტა არ არის იმისათვის, რომ ღმერთების ენაზე აამეტყველო გაზეთი. მით უმეტეს, ისეთი წარსულის რეგიონში, როგორიც სამცხე-ჯავახეთია. იქ, სადაც ქართულმა ენამ, ქართული სარწმუნოებისა და ქართული კულტურის ბედი გაიზიარა. სადაც, ერთ დროს, გაბატონებულმა ისლამმა მაჰმადიანური ფანატიზმის ჭაობში ჩაძირა ქართული, მებრძოლი სული. იქ, სადაც, თაღიან ცარგვალს ნახევარმთვარის დაღი დღემდე აქვს. სწორედ აქ, შოთას სამშობლოში უნდა დაბადებულიყო ლიტერატორთა სუნთქვით და სიყვარულით გაჯერებული გაზეთი ,,ლიტერატურული მესხეთი”, ნიშნად „ჰადესების სახლების“ არსაჭიროებისა.

ვულოცავ სრულიად საქართველოს, ჩემს მესხეთს ამ ღირშესანიშნავ თარიღს, რომლის ლიტერატურულ წიაღში დაბრუნების შესაძლებლობა, სწორედ, „ლიტერატურული მესხეთი“-ს საშუალებით მომეცა. გულითადად ვულოცავ მის დამაარსებელს, მწერალსა და ჟურნალისტს, ბატონ მერაბ ბერიძეს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს. ისინი, ოცი წელია, ღირსეულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებიან ქართული სიტყვიერების საპატიო საქმეს, იცავენ ენის სიწმინდეს, რომელიც, როგორც ილია II ამბობს „...არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა, იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი.“ სწორედ, ამ ადამიანების დამსახურებით გაზეთი რეგიონის ლიდერად იქცა. „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე მოთავსებული შინაარსი იმდენად მრავალფეროვანი და ტევადია, რომ ნებისმიერი მკითხველის გემოვნებასა და ინტერესს აკმაყოფილებს. მინდა, აგრეთვე, მივულოცო გაზეთის თანადამაარსებელ, უკვე მრავალ თაობათა აღმზრდელ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს. მათი კეთილგონივრული თანამშრომლობა ხელს უწყობს რეგიონში იდენტობის შენარჩუნებას, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ! გისურვებთ ერთგული მკითხველის სიმრავლეს. არ მოგკლებოდეთ უნარი სიცოცხლისა და ობიექტურობისა, მრავალჟამიერ!..

კლარა გელაშვილი

ლექსები ეთნოლისფერი ღიაურიდან

2019 წლის 16 იანვარს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ლიტერატურულმა სალონმა, **„ცხოვრება ლიტერატურაში"** – ამ სახელწოდებით პოეტსა და პედაგოგს, **ხათუნა ჩიტაძეს** უმასპინძლა. საღამოს სალონის დამფუძნებელი **მურად მთვარელიძე** უძღვებოდა.

,,ლიტერატურული ხაშური" ულოცავს ხათუნა ჩიტაძეს დაბადების დღეს და გთავაზობთ მის ახალ ლექსებს.

სკივრი

დამისველდა და გავამზიურე
ფიქრების მძივი, ურიყხვთა შორის,
ყველა ტკივილი ტკივილს იურვებს,
ღრუბელი, ამ გულს, გარს უვლის, შორით.
მზე კვლავ ჩამოჰკრავს სიხარულის ქნარს,
ყხოვრებას რუხი ფერები მიაქვს...
და ერთი ვიყი, რომ უფალი მნამს
და ვდგავარ სადარაჯოზე, მე, აქ!
ეს, მერამდენედ, დავხურე სკივრი,
სავსე სევდით და ყრემლის გუნდებით,
შიგ აფენია წარსულის მტვერი
და ჩემი სულის იაგუნდები!
შიგ ასვენია თეთრ ღამეების
შავი ქარები, მღვრიე ნისლები...
მახრჩობს გრძნეულის სადავეები,
თუმყ, ღვთიურ მადლით ისევ ვივსები...
და ჩემი სულის დარდგამძლე ფარდა
მზად ვარ, მზის სხივზე, ისევ გავფინო,
კვლავ უფალს ველი, მე უფალს ველი,
რომ სულის სკივრი გადავარჩინო!

მთვარეული

სულში, როგორყ მთვარეული,
შემოსახლდნენ ღამეები,
ვით ყის ფონზე არეული,
შავი, ბნელი ,,რამეები"...
ღრუბლები და უძილობა,
ლუყრფერი – ,,კამეებით"!
და ლანდები სიზმარეულ,
ფერდაკარგულ მთვარეებით...
ავსულთ კრებულს ერთვის ნება
შენი გულის ბაგეების!
თითქოს, ლიბრი გადაეკრა,
ავად არის მთა–ველები...
ჩამისახლდნენ თეთრ სიზმრებში
უშნო, მრუმე ღამეები...
ჟრუანტელად მივლის ტანში
იმ ავსულის ,,რამეები"!..

ვნერ!

ვნერ,
გარს მარტყია ჩემი სამყარო,
ყველა სიზმარი აქ არის, ყხადლივ!
ყას რომ ყქრიალა რითმა ავყარო
და მზეს მივართვა ლექსი, ვით მადლი!
ვნერ!
ყვავილებად ფიქრს ეკონება,
თითებს მითბობენ
ლექსის ფთილები...
და იმ წუთების კვლავ მოგონებას
მეყ, შვილებივით გავეტირები.
ვნერ!
დედამინა ვისთვის ნრე არის,
ზოგისთვის ფუძე და ქვაკუთხედი!
მთავარია, რომ ყაზე მზე არის –
ამ დედამინის ნათელი ხიდი...
ვნერ!
სიძლიერეს არ უჩანს ბოლო,
ტკივილი, მაინყ, თავის გზით მიდის...
ეს მე ვარ, შენი თავი და ბოლო,
და, შენ კი, ჩემი ყხოვრების გიდი!
ვნერ!
უსასრულოდ!
დაუღალავად!
მთელი სამყარო ახლა ჩემშია,
რითმამ სიშიშვლე დაუფარა მათ,
ვინყ ვერ იტირა, –
შვება ლექსშია!
ვნერ!..

* * *

და, მე, ბელურების ნაფეხურებს,
ისე ვითვლი, როგორყ ნლების საგზალს.
ბედს არ ვერჩი, რომ არ დამემდუროს,
ღმერთი ხედავს, ზეყრით, მტყუან–მართალს!
ეფინება სულის თეთრი ქარგა
მოგონებებს, სადაყ არ ჩანს გესლი!
ველოდები... (სადღაყ ჩაიკარგა,)
ყხოვრების მშვილდს, – ისარს როდის მესვრის!
მე კი, ბელურების ნაფეხურებს
ისევ გზას ვუნათებ წმინდა სანთლით,
გულში ვკონავ სიტყვით ნამზეურებს
და მტრებს მზის სხივებს არ დავამადლი!

რედაქტორი ეკა ბაქრაძე